საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება N11

ბათუმი 02 აპრილი 2021 წ.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის, ადმინისტრაციული შენობის შემოსაზღვრული ტერიტორიისა და შენობაში უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 04 აგვისტოს N48 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" და „ღ" ქვეპუნქტებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 04 აგვისტის N48 ბრძანებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის, ადმინისტრაციული შენობის შემოსაზღვრული ტერიტორიისა და შენობაში უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ ინსტრუქციის" 21-ე პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის, ადმინისტრაციული შენობის შემოსაზღვრული ტერიტორიისა და შენობაში უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 04 აგვისტოს N48 ბრძანებით დამტკიცებულ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის, ადმინისტრაციული შენობის შემოსაზღვრული ტერიტორიისა და შენობაში უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ ინსტრუქციაში" შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-2 პუნქტის:

ა.ა) „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოსამსახურეების, სამსახურებრივი მოწმობის/ ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათის მეშვეობით;"

ა.ბ) „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) უმაღლესი საბჭოს ფრაქციების აპარატების თანამშრომლებისათვის, უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში შემოსასვლელი საშვის და ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათის მეშვეობით;"

ა.გ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში აკრედიტებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა აკრედიტაციის წესის და ამ ინსტრუქციის შესაბამისად;“.

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში შემოსასვლელი საშვებისა და უმაღლესი საბჭოს სტუმრისათვის განკუთვნილი ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათის გაცემას უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველო“.

გ) მე-5 პუნქტს დაემატოს „ო“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროს მანდატურს.“

დ) მე-7 პუნქტის:

დ.ა) „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ.ბ) „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მოსამართლეები;“.

ე) 8^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8^1. უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში დაგეგმილი ღონისძიებების/ექსკურსიების დროს ჯგუფის ვიზიტი განხორციელდეს, ჯგუფის ხელმძღვანელის/უფლებამოსილი პირის მიერ ჯგუფის წევრთა სახელობითი სიის (პირადი ნომრის მითითებით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ჯგუფის ხელმძღვანელის/უფლებამოსილი პირის მიერ) წარდგენის შემდეგ მხოლოდ ჯგუფის ხელმძღვანელზე/უფლებამოსილ პირზე გაცემული საშვის მეშვეობით, ჯგუფის წევრთა იდენტიფიცირება განხორციელდეს წარდგენილი სახელობითი სიისა და ჯგუფის წევრის პირადობის მოწმობის შემოწმების გზით. საშვის გაცემას უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველო. აღნიშნულ შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში გადაადგილებაზე კონტროლს უზრუნველყოფს ჯგუფის ხელმძღვანელი და საშვის დამშვები ან მისი დავალებით საამისოდ უფლებამოსილი პირი.“

ვ) მე-18 პუნქტის:

ვ.ა) „ლ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ.ბ) „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მოსამართლეების;“.

2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გამოცხადდეს საჯაროდ, ღიად განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის თვალსაჩინო, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

3. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

4. ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა და საჯაროდ გამოცხადება უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ბრძანება ამოქმედდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

დავით გაბაიძე

,,შეთანხმებულია"
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის
აჭარის ა.რ. მთავარი სამმართველოს უფროსი
სახელმწიფო დაცვის
პოლკოვნიკი მერაბ ნაკაშიძე